10 თებერვალი

შაბათი,

№ 29 (1889)

1963 წ.

გამოცემის მე-18 წელი,

ფასი 3 კაპ.

მიუნჰენში მოეწყო კენჭისყრა

თბილისის „დინამო“ შეხვდება სტამბოლის „დარუსაფაკს“

გადამწყვეტ ფაზაში შედის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში. ვაჟთა ტურნირის 24 მონაწილიდან საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ 11 კოლექტივი. დანარჩენმა გუნდებმა დასტოვეს გათამაშება. აქ არიან: პორტუგალიის, მაროკოს, ლუქსემბურგის, ავსტრიის, ირლანდიის, ჰოლანდიის, დანიის, ფინეთის, ისრაელის, საფრანგეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის ჩემპიონები.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირვანდელი დებულების თანახმად, გათამაშებაში დარჩენილი გუნდები განაგრძობდენ ბრძოლას ყოველგვარი დამატებითი კენჭისყრის გარეშე. მაგრამ ასეთი სისტემა ერთგვარ უხერხულობას ქმნიდა, რადგან სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში თავმოყრილი იყვნენ უძლიერესი გუნდები (ცსკა, თბილისის „დინამო“, „ისკრა“ სვიტი, ჩეხოსლოვაკია და სხვა), იმ დროს, როდესაც ზედა ნახევარში შედარებით სუსტი გუნდები იბრძოდნენ.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, როგორც ჩანს, მხედველობაში მიიღო ტურნირის მონაწილე გუნდებს შორის შექმნილი უხერხულობა და თავის შტაბ-ბინაში — მიუნჰენში მოაწყო დამატებითი კენჭისყრა მეოთხედფინალური შეხვედრებისათვის. კენჭისყრამ დააწყვილა შემდეგი გუნდები: ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ცსკა (მოსკოვი) — ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი „ისკრა“ (სვიტი), თბილისის „დინამო“ — თურქეთის ჩემპიონი, სტამბოლის კლუბი „დარუსაფაკი“.

მეოთხედფინალის დანარჩენი მონაწილეებიდან ცნობილია კიდევ მხოლოდ ერთი გუნდი — ვარშავის „ლეგია“, რომელიც შეხვდება მადრიდის „რეალისა“ და ვერესეს „იგნისს“ (იტალია) შორის გამარჯვებულ კოლექტივს, და ბოლოს ლიუბლიანას „ოლიმპიის“ (იუგოსლავია) და „უსკა ჰაიდელბერგის“ (გფრ) მატჩში გამარჯვებული შეხვდება „ანტვერპენსა“ (ბელგია) და „ბანიოლეს“ (საფრანგეთი) შორის გამარჯვებულ გუნდს.

ქალთა გუნდებს შორის გათამაშება ჯერ არ დაუწყია ჩემპიონთა თასის მფლობელს რიგის ტტტ-ს. ლატვიელი სპორტსმენები პირველ მატჩს ჩაატარებენ ბუქარესტის „რაპიდთან“. ლენინგრადის სკა შეხვდება სოფიის „სლავიას“.

მეოთხედფინალური თამაშები უნდა დამთავრდეს 15 მარტისათვის.

მიმდინარეობს საქართველოს I სპარტაკიადა ზამთრის სახეობებში

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე)

მსოფლიო ჩემპიონატი არ ჩატარდება

როგორც კი საბოლოოდ გამოირკვა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებმა საბოლოოდ უარი უთხრეს გდრ-ს სპორტსმენებს სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დეპეშები გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის, საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრს მაკმილანს, რათა მათ მიეღოთ ზომები, რომ 6 თებერვლის დღის 12 საათამდე გადაწყვეტილიყო გდრ-ს სპორტსმენებისათვის ვიზის მიცემის საკითხი.

რადგან დანიშნული ვადისათვის დადებითი პასუხი არ მოვიდა, ძალაში შევიდა ფედერაციის გადაწყვეტილება — მსოფლიო ჩემპიონატი არ ჩატარდება.

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ჩოგბურთელებმა გაამართლეს იმედები

ამ რამდენიმე დღის წინ სევეროდონეცკის დახურულ კორტებზე დაიწყო სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში ჩვენი ქვეყნის 6 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით.

კენჭისყრამ საქართველოს გუნდი პირველად უკრაინელთა ძლიერ კოლექტივს შეახვედრა. უკრაინელებმა შარშან თბილისში გამართულ ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავეს საქართველოს ჩოგბურთელთა შემდეგ (მაშინ მათს რიგებში არ გამოდიოდა მ. მოზერი).

უკრაინელებს „საკუთარი კედლებიც ეხმარებოდნენ“. მაგრამ ნ. მძინარიშვილის გამარჯვებამ მ. მოზერზე საგრძნობლად შეასუსტა მასპინძელთა რწმენა საკუთარ ძალებში. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს ყველა შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:3. ამ მატჩში ა. ვერულავამ დაამარცხა ი. ოლხოვიკი, ა. მეტრეველმა — ვ. კროტოვი, გ. მუსაელიანმა — ღ. ბაბი და ი. რიაზანოვამ ტ. ტარანოვა. გ. ბაკშეევამ შეძლო დაემარცხებინა რ. აბჟანდაძე, მაგრამ წყვილთა შეხვედრაში რიაზანოვა-მეტრეველმა დაამარცხეს ბაკშეევა-მოზერი.

ფინალში გასვლის უფლების მოსაპოვებლად მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-სა და მოსკოვის გუნდები, რომელიც მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა.

მეორე ფინალისტი უნდა გამოევლინა ორი ძველი მეტოქის — ესტონეთისა და საქართველოს გუნდების შეხვედრას. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს შარშან თბილისში გამართულ ჩემპიონატზე სწორედ ესტონელმა სპორტსმენებმა დაუკარგეს ფინალში გასვლის საშუალება.

ამჟამად ჩვენი გუნდის წევრები უდავოდ უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებზე. რ. აბჟანდაძემ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ვ. ტამი, ი. რიაზანოვამ — მ. კული, ვაჟებიდან ა. ვერულავამ, ა. მეტრეველმა და გ. მუსაელიანმა შესაბამისად დაამარცხეს ლიუსი, ლამპი და იუჰველტი.

ესტონელებს ერთადერთი გამარჯვება მოუტანა თ. ლეიუსმა, რომელმაც შეძლო ნ. მძინარიშვილის დამარცხება. მატჩი დამთავრდა საქართველოს ჩოგბურთელთა შესანიშნავი გამარჯვებით — 6:1.

ამ გამარჯვებით ჩვენი რესპუბლიკის გუნდი გავიდა ფინალში და გუშინ შეხვდა მოსკოვის გუნდს.

შეუპოვარი ბრძოლების ტური

◆

ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება კალათბურთში

◆

8 თებერვალს თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს ზამთრის პირველობა კალათბურთში. მასში მონაწილეობს ვაჟთა 8 და ქალთა 7 კოლექტივი. თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის და რუსთავის გუნდები იბრძვიან „ბ“ კლასის ჩემპიონატში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის.

საინტერესოდ ჩატარდა ქალთა გუნდების შეხვედრათა პირველი ტური, სადაც განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის „განთიადის“ მატჩი. 35 წუთის მანძილზე „განთიადის“ ახალგაზრდა კალათბურთელები შეუპოვრად იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს მათ მაინც მოუხდათ „კაპიტულირება“. შეხვედრა მოიგო უნივერსიტეტის გამოცდილმა კოლექტივმა ანგარიშით 59:46. აღსანიშნავია, რომ აჭარის წარმომადგენლებმა პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 1 ქულის განსხვავებით.

შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს სოხუმის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებს სამტრედიის რკინიგზელებმა და მხოლოდ მატჩის ბოლოს შეძლეს აფხაზეთის სპორტსმენებმა გამარჯვების მიღწევა — 31:27 (14:14). ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდმა დაამარცხა რუსთავის სპორტსმენთა კოლექტივი — 38:28.

როგორც ყოველთვის, აფხაზეთის და აჭარის ვაჟთა გუნდების შეხვედრა ამჯერადაც დაძაბული სპორტული ბრძოლით აღინიშნა. პირველი ნახევარი მოიგო ბათუმის „განთიადმა“ — 28:20. შესვენების შემდეგ სოხუმელი სპორტსმენები შესამჩნევად გააქტიურდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ 4 ბურთის გაქვითვა შეძლეს. შეხვედრის საბოლოო შედეგია 57:53 ბათუმის „განთიადის“ სასარგებლოდ.

აღნიშნულ გუნდებზე უფრო დაბლა დგანან თავიანთი ოსტატობით სამტრედიის „განთიადისა“ და რუსთავის „მეტალურგის“ კოლექტივები. ამის მიუხედავად, აღნიშნული გუნდების შეხვედრა საინტერესო გამოდგა. დამატებით 5 წუთში გამარჯვება მოიპოვეს სამტრედიელებმა — 46:40.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ფოთის „განთიადი“ — 102:63. შეჯიბრებაზე კონკურსგარეშე მონაწილეობს „ნორჩი დინამოელის“ გუნდი. მან პირველ ტურში დამარცხება განიცადა ქუთაისის „განთიადისაგან“ ანგარიშით 60:83.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. ულმანი, რ. ფიშერი თუ მ. ფილიპი?

სტოკჰოლმის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე კიდევ ერთმა „სამუშაო“ კვირამ განვლო. სატურნირო ცხრილში შეტანილ იქნა მომდევნო ოთხი (V-VIII) ტურის შედეგები.

მაშ ვინაა წინ, ვის როგორი შანსები აქვს? ტურნირში ბრძოლას ტონს აძლევენ გერმანელი ულმანი (6,5 ქულა), ამერიკელი ფიშერი (6 ქულა 7-დან) და ჩეხი ფილიპი (5 ქულა და 2 გადადებული პარტია). ფილიპი, როგორც მეცნიერებათა დოქტორი, დარბაისლური სტილის მოჭადრაკეა. ყველა პარტიაში იგი იბრძვის რისკის გარეშე, მაგრამ ზოგიერთ შეხვედრაში მას ბედმაც გაუღიმა. მაგალითად, შტეინს მასთან „ჩაეძინა“ — დაავიწყდა საათის არსებობა და მოგებულ პოზიციაში დროს გადააცილა. ფიშერს „მიზანში“ პირველი ადგილი აქვს აღებული და ამიტომ ყოველ შეხვედრაში გამარჯვებისაკენ ისწრაფვის. განვლილ კვირაში მან დაამარცხა სამივე უნგრელი — პორტიში, ბილეკი და ბარცა.

ულმანმა ყველაზე უკეთ „გაატარა“ ეს დღეები. მან ზედიზედ სძლია ბრაზილიელ გერმანს, კოლუმბიელ კუელარს, ისლანდიელ ოლაფსონსა და საბჭოთა ოსტატ შტეინს.

როგორ აქვთ საქმე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებს? მხოლოდ შტეინის მდგომარეობაა არასახარბიელო. მან ბოლო 4 შეხვედრაში მხოლოდ 1,5 ქულა დააგროვა. პეტროსიანი 4,5 ქულით მტკიცედ ზის ექვსეულში. კორჩნოიმ სამი ყაიმი გააკეთა, ხოლო გელერმა — მხოლოდ ორი, კორჩნოის 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გელერს — 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ლიდერთა შორის არიან აგრეთვე ამერიკელი ბენკო (5,5 ქულა), არგენტინელი ბოლბოჩანი (4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ესპანელი პომარი და იუგოსლაველი გლიგორიჩი (4,5 ქულა თვითეულს). აღიარებულმა ფავორიტმა გლიგორიჩმა ზედიზედ ოთხი ყაიმის შემდეგ 2,5 ქულა მოაგროვა, თუმცა ერთ პარტიაში დამარცხდა.

ტურნირში წარუმატებლად თამაშობს ინდოელი ოსტატი აარონი, რომელიც ბოლო ადგილზე იმყოფება.

მონაწილეთაგან მხოლოდ პეტროსიანს, ფილიპსა და ფიშერს არ წაუგიათ პარტიები, თორემ თითო „უსიამოვნება“ ყველას შეხვდა. გამარჯვებათა რეკორდი (6) ეკუთვნის ულმანს, ხოლო წაგებების რეკორდი (6) გაიყვეს კუელარმა და აარონმა. ყაიმებში ყველას სჯობნიან პეტროსიანი, პორტიში და გლიგორიჩი — 5 ყაიმი თვითეულს.

მომავალი კვირა (IX-XII ტურები) საინტერესოა იმით, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდებიან ლიდერებს, ხოლო ფიშერს მოუწევს თამაში ოლაფსონსა და გლიგორიჩთან. ამიტომ საკითხავია, ვინ გაუძლებს ტურნირს: ულმანი, ფიშერი თუ ფილიპი?

დღეს, IX ტურით შეჯიბრებაზე განახლდება ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ქალთა XXI საჭადრაკო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	ქულათა ჯამი	ადგილი
ზ. ნახიმოვსკაია (რიგა)	1	X	1/2	1/2	0	1/2	1/2	1/2	1	1/2	1/2	0	0	0	1/2	1/2	0	1	1/2	1/2	1/2	8	15
ტ. ზატულოვსკაია (ბაქო)	2	1/2	X	1/2	1	0	1/2	1	1	1	0	0	1	1	1/2	1	1/2	1/2	1	1	1	13	2
ლ. იაკირი (კიევი)	3	1/2	1/2	X	0	0	1	1/2	1/2	0	1/2	1/2	1	0	0	1	1/2	0	0	1	0	7 1/2	16
მ. რანიკუ (ტალინი)	4	1	0	1	X	1/2	0	1/2	1/2	0	0	0	0	1/2	0	1/2	1	0	0	0	1	6 1/2	18
ა. კუშნირი (მოსკოვი)	5	1/2	1	1	1/2	X	1	1	1	0	1	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	0	1	0	1	1	12 1/2	3—4
ე. ბიშარდი (ლენინგრადი)	6	1/2	1/2	0	1	0	X	0	1	1/2	1/2	1/2	0	1	1/2	0	0	1/2	1/2	1	1	9	13—14
გ. ლიაპუნოვა (ერევანი)	7	1/2	0	1/2	1/2	0	1	X	1	1/2	1/2	0	1/2	0	1/2	1	1/2	1	1/2	0	1/2	9	13—14
ო. სემიონოვა (ლენინგრადი)	8	0	0	1/2	1/2	0	0	0	X	0	—	—	—	0	1/2	1/2	0	1/2	1/2	0	0	3	20
ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი)	9	1/2	0	1	1	1	1/2	1/2	1	X	1	1/2	1	1/2	1/2	0	1/2	1	1/2	1/2	1	12 1/2	3—4
ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი)	10	1/2	1	1/2	1	0	1/2	1/2	+	0	X	0	0	0	1/2	1/2	1	1/2	1/2	1	1	10	9—10
ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი)	11	1	1	1/2	1	1/2	1/2	1	+	1/2	1	X	0	1/2	1	1/2	1/2	1	1/2	1	1/2	13 1/2	1
ო. კაცკოვა (მოსკოვი)	12	1	0	0	1	1/2	1	1/2	+	0	1	1	X	0	1/2	0	1/2	1/2	1/2	0	1/2	9 1/2	11—12
ნ. ვოიცეკი (მოსკოვი)	13	1	0	1	1/2	1/2	0	1	1	1/2	1	1/2	1	X	1/2	0	0	0	1/2	1/2	1	10 1/2	7—8
ო. იგნატიევა (მოსკოვი)	14	1/2	1/2	1	1	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	0	1/2	1/2	X	1/2	1/2	0	0	1/2	1	9 1/2	11—12
ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი)	15	1/2	0	0	1/2	1/2	1	0	1/2	1	1/2	1/2	1	1	1/2	X	1/2	0	1/2	1/2	1	10	9—10
მ. ტოგონიძე (თბილისი)	16	1	1/2	1/2	0	1	1	1/2	1	1/2	0	1/2	1/2	1	1/2	1/2	X	1/2	1/2	1	1	12	5
კ. ზვორიკინა (მოსკოვი)	17	0	1/2	1	1	0	1/2	0	1/2	0	1/2	0	1/2	1	1	1	1/2	X	1	1	1/2	10 1/2	7—8
ს. როოტარე (ტალინი)	18	1/2	0	1	1	1	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1/2	1	1/2	1/2	0	X	1	1	11 1/2	6
ე. კაკაბაძე (თბილისი)	19	1/2	0	0	1	0	0	1	1	1/2	0	0	1	1/2	1/2	1/2	0	0	0	X	1/2	7	17
ა. შადურა (კურსკი)	20	1/2	0	1	0	0	0	1/2	1	0	0	1/2	1/2	0	0	0	0	1/2	0	1/2	X	5	19

ბრძოლის ველი მიწყნარდა

ერევანი. (ტელეფონით). ჩემპიონატის დასკვნითი, XIX ტურის შეხვედრები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, ვინაიდან თეორიულად ხუთ მოჭადრაკეს შეეძლო ჩემპიონი გამხდარიყო. ამისათვის საკმარისი იყო ვოლპერტს მოეგო ბორისენკოსათვის, ხოლო ზატულოვსკაიას, ტოგონიძესა და კუშნირს გაემარჯვათ თავიანთ პარტიებში. მაგრამ ასე არ მოხდა. ვოლპერტმა ვერ დაძლია ბორისენკოს წინააღმდეგობა და პარტია ყაიმით დამთავრდა. ამით ბორისენკომ უზრუნველყო თავისთვის ჩემპიონის ოქროს მედალი. იგი მეხუთედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ვოლპერტს ისღა დარჩა, რომ ენატრა კონკურენტებმა არ გამასწრონო. მხოლოდ ზატულოვსკაიამ „არ გაუმართლა“ იმედები. ბაქოელმა ოსტატმა ძლიერად ითამაშა როოტარეს წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ამითი იგი მეორე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ კუშნირმა ვერ მოუგო ტიხომიროვას, ყაიმით დაკმაყოფილდა და ვოლპერტთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ნამდვილად უსიამოვნო ამბავი შეემთხვა ტოგონიძეს, რომელსაც შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა. ქართველ ოსტატს ისე აერია თამაში, რომ დამარცხდა რანიკუსთან.

დანარჩენ შეხვედრებში ზვორიკინამ დაამარცხა იაკირი, ვოიცეკმა — ლიაპუნოვა, კოზლოვსკაიამ — შადურა. ყაიმით დასრულდა ნახიმოვსკაია — კაკაბაძის და იგნატიევა-ბიშარდის პარტიები.

ტურნირი დამთავრდა. მისი საბოლოო შედეგი მოცემულია ცხრილში, რომელიც ნათლად მოგვითხრობს ჩემპიონატის ციფრობრივ შედეგებზე.

გუშინ საღამოს, ფილარმონიის მცირე დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ჩემპიონატი, მოეწყო დახურვა. საზეიმო ცერემონიალის დროს მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. სომხეთის სსრ სპორტკავშირის სამახსოვრო პრიზი გადაეცა ვ. ბორისენკოს, ჟურნალ „აიასტან აშხატავორუის“ სამახსოვრო პრიზი მეორე ადგილისათვის — ტ. ზატულოვსკაიას; „სოვეტ ერმენისტანის“ სამახსოვრო პრიზი მესამე ადგილის გაყოფისათვის — ა. კუშნირსა და ლ. ვოლპერტს; გაზეთ „სოვეტაკან აიასტანის“ ჯილდო საუკეთესო ენდშპილისათვის — ლ. ვოლპერტს კოზლოვსკაიასთან პარტიის დაბოლოებისათვის; გაზეთ „კომუნისტის“ ჯილდო პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის — ტ. ზატულოვსკაიას, მ. ტოგონიძეს, ს. როოტარეს, ნ. ვოიცეკს; გაზეთ „კომსომოლეცის“ პრიზი ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგებისათვის — ლ. ვოლპერტსა და ო. კაცკოვას; სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი პირველთანრიგოსანს ოსტატების წინააღმდეგ საუკეთესო შედეგებისათვის — ე. ბიშარდსა და ვ. კოზლოვსკაიას (6-6 ქულა თვითეულს 12-დან); გაზეთ „ერევანის“ პრიზი ულამაზესი პარტიისათვის — მ. ტოგონიძეს ბიშარდთან პარტიაში; სპორტსაზოგადოება „ავანგარდის“ პრიზი შავებით საუკეთესო შედეგისათვის — ვ. ბორისენკოს; გაზეთ „აიასტან ფიზკულტურნიკის“ პრიზი ყველაზე მეტი მოგებისათვის — ტ. ზატულოვსკაიას (10 მოგება).

• • •

—ჩემპიონატმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა. ერევნელებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს მისდამი, — განაცხადა მთავარმა მსაჯმა, სომხეთის სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. აკოპიანმა.

— როცა ლაპარაკობ შედეგებზე, არ შეიძლება არ აღნიშნო, რომ ადგილები, ზოგიერთის გამონაკლისით, „სწორად“ განაწილდა. ბორისენკო დამსახურებულად არის პირველი. კუშნირს გამოცდილება აკლდა, ვოლპერტს — ბრძოლისუნარიანობა, ზვორიკინას — დასვენება, ტოგონიძეს — სპორტული სიბრაზე და სიმტკიცე, ხოლო ზატულოვსკაიას მეტი ოპტიმიზმი ჰქონდა. რასაკვირველია, ყველაზე უფრო „დაიჩაგრა“ ტოგონიძე, ვინაიდან იგი სულ „უმიზნებდა“ სამეულს, მაგრამ ნერვებმა უმუხთლეს.

—სხვებიდან მინდა გამოვყო სომხეთის ჩემპიონი ლიაპუნოვა. მან არ გაგვაწბილა, თუმცა პირველად მონაწილეობდა დიდ ტურნირში. მართალია, ლიაპუნოვამ ვერ შეასრულა ოსტატის ნორმა, მაგრამ იგი მაინც კარგი მონაცემების მოჭადრაკეა.

— ტურნირმა კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა მოჭადრაკეების თამაშის მაღალი დონე, — თქვა დასასრულს ა. აკოპიანმა. — ამიტომ მათი ლიდერების ე. ბიკოვასა და ნ. გაფრინდაშვილის მატჩს მსოფლიო პირველობაზე საზოგადოებრიობა მეტი ინტერესით ელის.

21 უძლიერესი

წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ შეაჯამა 1961 წლის შედეგები და დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 21 უძლიერესი წყალბურთელის სია, რომელშიც შევიდნენ:

მეკარეები: **ლ. გოგოლაძე** (თბილისის „დინამო“), **ვ. კლიმენკო** (მოსკოვის „დინამო“), ა. კუცეევი (ვმფ); მცველები: **ვ. კურენოი** (მოსკოვის „ბურევესტნიკი“), **გ. ჩიქვანაია** (თბილისის „დინამო“), ვ. მარტინჩიკი (ლვოვის „დინამო“), ი. ზინგერი (ვმფ), **ვ. პროკოპოვი** (ვმფ), ვ. აგეევი (მოსკოვის „ტორპედო“); ნახევარმცველები: **ა. კარტაშოვი** (მოსკოვის „დინამო“), **ა. შიდლოვსკი** (ვმფ), **ვ. ნოვიკოვი** (მოსკოვის „დინამო“), **ბ. მეგედი** (თბილისის „დინამო“), ვ. პუშკარიოვი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი“); ი. ზემცოვი (კიევის „ბურევესტნიკი“); თავდამსხმელები: **ვ. ხემიონოვი** (ვმფ), **ი. გრიგოროვსკი** (მოსკოვის „დინამო“), **პ. მშვენიერაძე** (მოსკოვის „დინამო“), **ზ. ბორტკევიჩი** (ბაქოს კკფ), ო. მიმინოშვილი (თბილისის „დინამო“), ი. ვილკინი (ლენინგრადის „ბალტიკა“).

ხაზგასმულია იმ სპორტსმენთა გვარები, რომლებიც უძლიერესთა სიაში 1960 წელსაც იყვნენ.

მოძმე სომხეთში

ამას წინათ, ერევანში ჩატარდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების „სპარტაკის“ მოჭიდავეთა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: პირველთანრიგოსნები ა. მენაბდიშვილი, გ. ჭეიშვილი, ნ. ხუციშვილი, ს. ნიკოლოზაშვილი, სპორტის ოსტატები ა. გაგიევი, ს. ქაჯაევი, თ. გოგოლაძე, ა. ტოტროვი, ნ. ქავთარაძე, კ. ვართანოვი, გ. გობეჯიშვილი და ნ. გოგიბედაშვილი.

კენჭისყრის შედეგად პირველი შეხვედრა საქართველოს გუნდმა ჩაატარა აზერბაიჯანის ნაკრებთან. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა, სპორტის ოსტატებმა რ. ქაჯაევმა, ა. ტოტროვმა, კ. ვართანოვმა, ნ. ქავთარაძემ და ნ. გოგიბედაშვილმა წმინდა მოგებებს მიაღწიეს და გუნდს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანეს — 18:10.

სომხეთისა და საქართველოს გუნდების შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. პირველი სამი წონა მათ მოიგეს და წაიყვანეს ანგარიში — 9:3. შემდეგ, ს. ნიკოლოზაშვილისა (საქართველო) და გ. ხანზატიანის (სომხეთი) შეხვედრა დამთავრდა ფრედ. სპორტის ოსტატმა თ. გოგოლაძემ დიდი უპირატესობით დაამარცხა ა. ქეროპიანი, კ. ვართანოვმა (საქართველო) ქულებით მოუგო რ. მხითარიანს (სომხეთი), გ. გობეჯიშვილმა წუთნახევარში სუფთად მოუგო ს. კაუკჩიანს. უკანასკნელი შეხვედრის წინ ანგარიში გათანაბრდა — 14:14. შეხვედრის ბედი უნდა გადაეწყვიტა ნ. გოგიბედაშვილისა და ო. არუთინიანის ორთაბრძოლას. ეს შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა დიდი უპირატესობით დაამთავრა და გუნდს მოუტანა გამარჯვება — 17:15.

ამრიგად, ტურნირში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა საქართველოს „სპარტაკის“ ნაკრებმა გუნდმა.

შ. ნოზაძე,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



[illegible] წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

ყოველი ახალი წლის დასაწყისისათვის საკავშირო გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ მწვრთნელების, სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულთათვის სპეციალურად უშვებს მომავალი წლის გამოსაცემი ლიტერატურის თემატურ გეგმას.

რას წავიკითხავთ 1962 წელს? ახალი თემატური გეგმა ითვალისწინებს 127 დასახელების წიგნისა და ბროშურის გამოცემას ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

თემატურ გეგმაში შედის მეცნიერულ-თეორიული და პროპაგანდისტული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ლიტერატურა სპორტის 26 სახეობაში, საცნობარო ლიტერატურა.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე დიდი რაოდენობით სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საუკეთესო ნაშრომების გამოცემა და სხვ.

ყურადღებას იპყრობს დიდი მოცულობის ნაშრომი — „სპორტსმენის სახელმძღვანელო“. ეს იქნება სპორტსმენის სამაგიდო წიგნი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მას ყოველდღიურ საქმიანობაში. სოფლის ფიზკულტურული აქტივისათვის გათვალისწინებულია გამოიცეს წიგნი „ფიზიკური კულტურა და სპორტი სოფლად“, რომელშიც დეტალურად არის განხილული სოფლად ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხები. პრობლემატური საკითხების გადაჭრის ცდას ეხება ნაშრომი „სპორტის ფსიქოლოგიის პრობლემები“.

მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ნაშრომებს შორის ყურადღებას იპყრობს წიგნები: „მშობლებს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შესახებ“, „სპორტული ტრავმატიზმის პროფილაქტიკა“ და სხვ.

პროპაგანდისტულ დარგში უნდა დავასახელოთ „ისინი ანთებენ ჩირაღდნებს“, „სიმღერა იალქანზე“ და სხვ.

გამომცემლობას განზრახული აქვს გამოსცეს მონოგრაფიები სახელგანთქმულ სპორტსმენებზე. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიტერატურას გამოცდილების გაზიარების დარგში. ამ სერიიდან საინტერესოა წიგნი „ლაპარაკობენ კალათბურთის მწვრთნელები“.

ფეხბურთის გულშემატკივარნი ინტერესით შეხვდებიან წიგნს „ფეხბურთი დღეს და ხვალ“, ხოლო ფრენბურთელებისათვის კარგი საჩუქარი იქნება „ფრენბურთის აწმყო და მომავალი“. ჭადრაკის მოყვარულნი წელს მიიღებენ „ჭადრაკის ლექსიკონს“.

საცნობარო ლიტერატურიდან წელს გამოიცემა „1961 წლის ყოველწლიური“ და „მძლეოსნობა სსრ კავშირში“.

ბ. დარსაძე

• ახალი ჩემპიონი
• მოთხილამურეები ესტაფეტის ტრასაზე
• გასული წლის პრიზიორები მარცხდებიან

ბაკურიანი. (ტელეფონით). ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ფიგურულ სრიალში გამართულ შეჯიბრებაზე სავალდებულო პროგრამის ვარჯიშების შემდეგ რამდენიმე სპორტსმენი ინარჩუნებდა მეორე თანრიგის შესრულების შანსებს. მათ შორის პირველ რიგში, ალსანიშნავი იყო საქართველოს გასული წლის ჩემპიონი ი. ჯაფარიძე, ქალთა შორის — ი. არხანგელსკაია და ნ. მანჯგალაძე.

ი. ჯაფარიძეს სავალდებულო პროგრამის ჯამში ჰქონდა 147,7 ქულა და უკვე მთელი 2 ქულით აჭარბებდა მეორე თანრიგის მოთხოვნებს ამ პროგრამის მიხედვით. წარმატება ხვდა წილად მის გამოსვლას ნებისმიერ ვარჯიშშიც. ეს ვარჯიში მოსკოველ და ლენინგრადელ მსაჯთა ბრიგადის მიერ შეფასებულ იქნა საკმაოდ მაღალი ნიშნით და ი. ჯაფარიძემ საერთო ჯამში დაგროვებული 262,7 ქულით ჩემპიონის წოდებასთან ერთად მეორე თანრიგიც მოიპოვა.

მეორე ადგილისათვის ბრძოლა ვაჟთა შორის მიმდინარეობდა ი. ქუქულაძესა და თ. ხაწიაშვილს შორის. ამ უკანასკნელმა ნებისმიერი ვარჯიშის შესრულების შემდეგ 1,9 ქულით გადაუსწრო მეტოქეს. ქალთა შორის პირველი ადგილისათვის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ი. არხანგელსკაიასა და ნ. მანჯგალაძეს შორის. სავალდებულო პროგრამის შემდეგ სხვაობა მათ შორის შეადგენდა 3,8 ქულას. ნებისმიერი ვარჯიში არხანგელსკაიამ სუსტად შეასრულა და ამით დაკარგა არა მარტო პირველი ადგილი, არამედ მეორე ადგილის მოპოვების შესაძლებლობაც. ნ. მანჯგალაძემ თავისი შინაარსიანი ვარჯიშით შეძლო 1,2 ქულით გადაესწრო მეტოქისათვის და 228,6 ქულით დაესაკუთრებია ჩემპიონის წოდება. ახალი ჩემპიონი 14 წლისაა, მას აქვს ელასტიკური მოძრაობანი, შესრულების დახვეწილი მანერა და ვარჯიშის შინაარსობრივი მხარის გადმოცემის კარგი შინაგანი გრძნობა.

მესამე ადგილზე გამოვიდა მ. ცინცაბაძე, რომელმაც დააგროვა 190,4 ქულა.

მეორე თანრიგის ნორმატივი შესრულდა წყვილთა ასპარეზობაშიც. აქ წარმატებას მიაღწიეს ნ. მანჯგალაძემ და თ. ხანიაშვილმა, რომელთაც მოიპოვეს ჩემპიონთა წოდება. ოსტატთა პროგრამაში კონკურენციის გარეშე იყო ე. პლინერი.

◆

ვისაც შემთხვევა ჰქონდა ეყურებინა ჰოკეისტთა შარშანდელი ჩემპიონატისათვის და იგი შეადარა წლევანდელ ასპარეზობას, უთუოდ შენიშნავდა დიდ პრინციპულ სხვაობას. შარშან ფაქტიურად მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ შემთხვევა ენახათ დაძაბული სპორტული ბრძოლა. ეს იყო ფინალური მატჩი ახალქალაქისა და აჭარის ჰოკეისტთა შორის. წელს კი ჯერ მხოლოდ ქვეჯგუფებში ჩატარებული ორი ტურის მატჩების შემდეგ მაყურებლები სამ შეხვედრაში გახდნენ ისეთი ბრძოლების მოწმენი, რომლებმაც ნამდვილად დაჩრდილეს შარშანდელი ფინალური მატჩი. ეს რომ ასეა, საკმარისია უბრალოდ აღვნიშნოთ: შარშანდელი ჩემპიონი — ახალქალაქის გუნდი დამარცხებულ იქნა თბილისის მეორე გუნდის მიერ, რომელსაც გასული წლის შეჯიბრებაზე ეკავა მეშვიდე ადგილი. მეორე პრიზიორს — აჭარის ნაკრებს მოუგო თბილისის პირველმა გუნდმა, რომელიც შარშან მეოთხე ადგილზე იყო. დამარცხების სიმწარე იწვნია გასული წლის მესამე პრიზიორმაც — ქუთაისის ჰოკეისტთა გუნდმა თბილისის II გუნდისაგან.

უკანასკნელი ორი შეხვედრა გაიმართა მეორე ტურში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო თბილისის I გუნდისა და აჭარის ნაკრების ორთაბრძოლა, რომელიც ფაქტიურად წყვეტდა ფინალურ მატჩში მონაწილეობის საკითხს. ბრძოლის სიმქაფრეზე მეტყველებს ანგარიშიც — 2:1, რომლითაც თბილისელებმა ჩაიწერეს მეტად მნიშვნელოვანი ორი ქულა, ამ მატჩში ანგარიში არ გახსნილა მეთორმეტე წუთამდე. თბილისელმა ნ. მამალაძემ მარცხნიდან მიიღო ზუსტი გადაცემა და გაგზავნა შაიბა კარში— 1:0. მარცხის მიუხედავად, აჭარის ჰოკეისტები ენერგიულად თამაშობდნენ. ეს იყო კოლექტივი, რომელსაც დიდი წინსვლა ეტყობა გასული წლის შემდეგ. ანგარიში გათანაბრდა მეორე პერიოდში, როცა თბილისელები არასრული შემადგენლობით დარჩნენ ძლიერი მოწინააღმდეგის წინაშე. რემნიოვმა კარის სიახლოვეს მიიღო შაიბა და იგი თბილისელთა ბადეში გაახვია. ამის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. თანდათანობით გამოიკვეთა თბილისელთა უპირატესობა. რამდენჯერმე გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მეკარის ბრწყინვალე თამაში, ხან კი უბრალო შემთხვევითობა კიდევ კარგა ხანს აუღებელს ტოვებდა აჭარის გუნდის კარს. მაგრამ გოლი აშკარად მწიფდებოდა და იგი გატანილ იქნა მესამე პერიოდის მეცხრე წუთზე. თბილისელმა ვ. ზახაროვმა მოულოდნელი მოჭრითი დარტყმით კარში გაგზავნა შაიბა — 2:1. ეს ანგარიში არ შეცვლილა თამაშის ბოლომდე.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონატის ბედისათვის ამ ტურის მეორე მატჩს, ამჯერად უკვე მეორე ქვეჯგუფის კოლექტივების — ქუთაისისა და თბილისის II გუნდებს შორის. გამარჯვების შემთხვევაში თბილისელებს თითქმის განაღდებული ექნებოდათ ფინალში მონაწილეობის უფლება, ხოლო დამარცხება სამ გუნდს კვლავ ერთნაირ შანსებს უტოვებდა თბილისის II გუნდმა ამჯერადაც ისახელა თავი, საგრძნობი უპირატესობით — 12:5 (1:0, 5:0, 6:5) დაამარცხა შარშანდელი პრიზიორი და მორიგი ორი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში.

ბორჯომის რაიონის გუნდმა დაამარცხა მესტიის (8:2) გუნდი, ხოლო ახალქალაქისამ — ახალციხის (22:0) გუნდი.

ორი ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია: პირველ ქვეჯგუფში ოთხი ქულით ლიდერობს თბილისის II გუნდი. ახალქალაქისა და ქუთაისის გუნდებს აქვთ ორ-ორი ქულა, ახალციხის კოლექტივს — 0 ქულა. მეორე ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა თბილისის I გუნდი — 4 ქულა. აჭარის ნაკრები მეორე ადგილზეა, რომელსაც 2 ქულა აქვს. ამდენივე დააგროვა ბორჯომის რაიონის გუნდმაც.

◆

ვაჟთა ესტაფეტაში ერთდროულად დაიძრა 10 სპორტსმენი. ისინი სტარტიდანვე ცდილობდნენ მაღალ ტემპში დაწინაურებას და დერეფნიდან პირველად გასვლას. 100 მეტრის შემდეგ რბოლას სათავეში მოექცა მესტიის გუნდის წევრი თ. კორძაია, მას კვალში მისდევდნენ ნ. კოზანაშვილი (თბილისი, I), ვ. მიქაბერიძე (ბორჯომი) და სხვანი. ასე დაიწყო ვაჟთა ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე. თ. კორძაია საკმაოდ ძლიერი მორბენალია და ამიტომ მაყურებლებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არავის დაანებებდა წინ გასვლას. მაგრამ მესამე კილომეტრზე მოწყობილმა საკონტროლო პუნქტმა გვაცნობა, რომ უკვე აქ მას გაუსწრო ნ. კოზანაშვილმა, რომელმაც მოიგო კიდეც თავისი ეტაპი (35.18 წუთი). 34 წამის შემდეგ ეტაპის ფინიშზე მოვიდა ბორჯომელი ვ. მიქაბერიძე, 10 წამის შემდეგ — თბილისის II გუნდის წევრი კ. მიქაბერიძეც, თ. კორძაია კი არსად სჩანდა.

თბილისის I გუნდმა (ნ. კოზანაშვილი, გ. სანაკოევი, ი. ვეზდენი, ვ. ზნაიჩენკო) ყველა ეტაპი მოიგო და გაიმარჯვა კიდეც — 2:27.26, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ბრძოლა გაიმართა მესტიისა და ბორჯომის გუნდებს შორის. პირველ ეტაპზე ბორჯომელები 50 წამს უგებდნენ მესტიელებს, მეორე ეტაპზე კი რ. გულბანმა (მესტია) არამარტო გამოასწორა თ. კორძაიას დანაკარგი. არამედ 58 წამით დააწინაურა გუნდი და მესამე ეტაპზე მეორემ გადასცა ესტაფეტა თანაგუნდელ ე. კორძაიას, რომელსაც ბრძოლა მოუხდა ფ. ციგიშვილთან (ბორჯომი). ამ უკანასკნელმა მხოლოდ 10 წამით გამოასწორა მდგომარეობა და მისი თანაგუნდელი ა. ქუმარიტაშვილიც მესამე გავიდა მე-4 ეტაპზე, რომელზეც გადაწყდა მეორე ადგილის ბედი ბორჯომის ვაჟთა გუნდის სასარგებლოდ — 2:37.48.

მეორე ჯგუფში გამარჯვება ქუთაისელ მოთხილამურეებს დარჩათ.

თბილისის ვაჟთა I გუნდს არც ქალები (ლ. ბანდური, ფ. ოსიპოვა, ქ. კრუგლოვა) ჩამორჩნენ. მათ ძირითადად ბორჯომის გუნდთან ბრძოლაში მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას. მართალია, მეორე ეტაპზე ოსიპოვამ 24 წამით წააგო ბორჯომელ ლ. უსტიმენკოსთან, მაგრამ I და III ეტაპზე მოპოვებულმა უპირატესობამ თბილისელებს საერთო გამარჯვება მოუტანა ესტაფეტაში (3×5 კმ) — 1:13,03. III ადგილზე გამოვიდა თბილისის II კოლექტივი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ბრძოლა მესამე ეტაპზე. როგორც ჩანს, მწვრთნელებს ეტაპებზე სპორტსმენთა განაწილებაში ერთნაირი გადაწყვეტილება მიუღიათ — გამოეყვანათ უძლიერესი ბოლო ეტაპზე და სწორედ აქ იქნა ნაჩვენები დღის საუკეთესო შედეგები ქ. კრუგლოვას — 22.20, ვ. გავას (ბორჯომი) — 23.13 და ვ. იურკინას (აჭარა) — 23.26 მიერ.

მეორე ჯგუფში ქალთა ესტაფეტა მოიგო გორის კოლექტივმა.

ორმა მნიშვნელოვანმა გამარჯვებამ საერთო ჩათვლაში საგრძნობლად დააწინაურა თბილისის I კოლექტივი და ახლა მას პირველობის ძირითად პრეტენდენტად თვლიან სპარტაკიადაში. თუმცა ვინ იცის, ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. ამ დღეს კოხტაგორაზე ძალებს ცდიდნენ სლალომისტი ვაჟები, პიწკალოს ფერდობზე — ორჭიდელები 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.

წინა დღეს მიღებული მსუბუქი ტრავმის გამო სლალომისტთა შეჯიბრებას აკლდა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ი. ჯანგობეგოვა. სლალომის 400-მეტრიანი დისტანციის პირველ ტრასაზე დადგმული იყო 45 კარი. მათი გავლისას ყველაზე კარგი დრო — 38,8 ჰქონდა ა. ჯეირანაშვილს (ბორჯომი, „კოლმეურნე“), რომელიც 0,2 წამით უგებდა გ. აბრამიშვილს (თბილისის I, „დინამო“), ხოლო 0,4 წამით — თანაგუნდელ შ. კოზანაშვილს.

მეორე ტრასაზე, სადაც მოწყობილი იყო 40 კარი, დაწინაურდა აბრამიშვილი (33,0 წამი) მაშინ, როცა ლიდერმა — ა. ჯეირანაშვილმა 34,3 წამი და შ. კოზანაშვილმა 34 წამი აჩვენეს. ამან გამარჯვების სასწორი აბრამიშვილის მხარეს გადახარა — 1.07,0. ჯეირანაშვილს დარჩა მეორე ადგილი — 1.08,1, კოზანაშვილს — მესამე (1.08,2).

შეჯიბრების მონაწილე 21 სპორტსმენიდან მხოლოდ სამმა შეძლო I თანრიგის ჩვენება. ამ დღემ ცხადყო ისიც, რომ ორჭიდში მხოლოდ სამ გუნდს (თბილისის I, II და ბორჯომის) მოუხდება ერთმანეთთან ბრძოლა. ამასთან სრული გუნდის გამოყვანა ვერ შეძლეს ბორჯომელებმა, ვინაიდან მეორე ჩათვლითი სპორტსმენი წვრთნის დროს დაზიანდა და ახლა მთელ იმედს სპორტის ოსტატ პ. გავაზე ამყარებენ. მართალია, პ. გავამ პირველ დღეს იმედი გაამართლა, გადახტა 62,5 და 69 მეტრზე და 221 ქულით სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას, მაგრამ ერთი სპორტსმენი ჩათვლაში არ კმარა, რის გამო ბორჯომელებს ამ სახეობაში თითქმის გარანტირებული პირველი ადგილი აქვთ დაკარგული.

სპარტაკიადა

◆

უკანასკნელ საათს!

გუშინ დამთავრდა ორჭიდელთა შეჯიბრება 15 კმ-ზე რბენით. აქ ყველაზე კარგი დრო აჩვენა თბილისელმა ჯ. წაქაძემ — 58.36. შეჯიბრების ლიდერი პ. გავა მეოთხე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ორჭიდის ჯამში მან მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი და მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა — 449,2 ქულა. მეორე ადგილზეა გ. ნაგოგა (თბილისი, II) — 437,1 ქულა, მესამეზეა — ე. თვაური (თბილისი, I) — 402,7 ქულა.

დილით ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება 15 კმ-ზე რბენაში, სადაც სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა ე. მორდვინოვმა, ნ. ტროფიმოვმა და ნ. კოზანაშვილმა მოიპოვეს.

ქალთა 5-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშზე პირველი იყო ქ. კრუგლოვა (თბილისი, I) — 21.31. მას 1 წუთითა და 33 წამით ჩამორჩა ბორჯომელი ვ. გავა, რომელმაც თავის მხრივ 24 წამით მოუგო ვ. იურკინას (აჭარა). სლალომისტ ქალთა შეჯიბრება მოიგო თბილისის I გუნდის წევრმა ლ. გოგოლაძემ, რომელმაც ორი ცდის ჯამში აჩვენა 1.36.9. მეორე ადგილზეა ნ. ქურდოღლიანი (თბილისი, I) — 1,40,3. სლალომში 10 მონაწილიდან მხოლოდ ხუთმა დაამთავრა შეჯიბრება და მათგანაც მარტო ლ. გოგოლაძემ და ნ. ქურდოღლიანმა შეძლეს სათანრიგო ნორმების ჩვენება.

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.

* * *

სურათებზე: პ. გავა ემზადება ტრამპლინიდან გადმოსახტომად. ქვევით — 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული გ. სანაკოევი დისტანციაზე.

- რინგზე არიან... განგსტერები
- 200-კილოგრამიანი პრიზი
- ვილმა რუდოლფი მესამე იყო

რამდენიმე წლის წინათ მთელი მსოფლიო დიდი ინტერესით ელოდა მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების ამერიკელი ფ. პატერსონისა და შვედი ი. იუჰანსონის პირველ მატჩს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე. იგი შვედმა მოიგო და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სწორედ ამ მატჩს შეეწირა მისი ორგანიზატორი ბ. როზენზონი. ამ უკანასკნელმა უარი უთხრა განგსტერებს განეხორციელებინათ თავიანთი განზრახვა და თვით გადაეწყვიტათ შეხვედრის ბედი. როზენზონი სიცოცხლეს გამოასალმეს. მას შემდეგ მთელი აშშ-ს მართლმსაჯულება დიდ ხანს ეძებდა დამნაშავეს...

საბრალდებელო სკამზე მჯდარი 55 წლის დიდყურა მამაკაცი მდუმარედ ისმენდა განაჩენს: — ფრენკი კარბოს — 25 წლის პატიმრობა, 10 ათასი დოლარი ჯარიმა. სხვადასხვა სასჯელი დაედოთ კარბოს თანამოსაქმეებს: მის სიძეს პალერმოს — 15 წლის კატორღა, „ურჩებზე" თავდამსხმელთა ჯგუფის ხელმძღვანელს ჯო სიკას — 15 წელი, ფირმის ადვოკატს ტრუმენ გიბსონს — 15 წელი.

როგორც სასამართლოზე გამოირკვა, ზემოჩამოთვლილ განგსტერთა ბრბომ ხელთ იგდო ამერიკის პროფესიონალური კრივის ხარბიელი. ბანდა არ ერიდებოდა მკვლელობას, მაქინაციებს, მოტყუებას, შანტაჟს. განგსტერთა ამ ჯგუფის მსხვერპლი გახდა ბევრი გამოჩენილი მოკრივე: ჯ. უოლკოტი, ე. ჩარლზი, რ. მარჩიანო, რ. რობინსონი, ჯ. ლამიტა, კ. გევილენი, ა. ვილიამსი და სხვანი.

გამოირკვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგა ხანს თარეშობდა განგსტერული ორგანიზაცია „აი-ბი-სის" (მოკრივეთა ინტერნაციონალური კლუბი) სახელწოდებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ჯ. ნორისი. იგი ყოველი მატჩიდან იღებდა შემოსავლის დიდ ნაწილს, წინასწარ განსაზღვრავდა შეხვედრაში გამარჯვებულს, მსოფლიო ჩემპიონს, იმხრობდა მსაჯებს, ხოლო ის, ვინც წინ აღუდგებოდა ნორისს, სამუდამოდ ტოვებდა რინგს, და შემდეგ სამყაროსაც.

მოკრივეთა მუშტებით ნაშოვნი ფულის მდინარე უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მილიონერის სეიფში. ეს ნიუ-იორკის პოლიციისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მაგრამ ნორისს ვერავინ წაასწრო დანაშაულზე. ამ უკანასკნელმა არაერთხელ აგრძნობინა ყველას, რომ, ვისაც არ შეეძლო კბილი დაეჭირა ენისათვის, ასეთებს სიკვდილი ელოდა.

ბოლოსდაბოლოს ნიუ-იორკის პროკურორმა დაუმტკიცა ნორისს, რომ მან დაარღვია კანონი. იგი დააპატიმრეს არა იმისათვის, რომ სიცოცხლეს გამოასალმა ან გაძარცვა ასობით ადამიანი, არამედ იმიტომ, რომ... არ გადაიხადა სახელმწიფო ხარკი (!).

მალე „აი-ბი-სის" ნაცვლად ტ. გიბსონმა ჩამოაყალიბა კორპორაცია „ბოქსინგ ენტეპრაისი". სინამდვილეში ეს ორგანიზაცია ფ. კარბოსა და მისი სიძის პალერმოს საკუთრება იყო. „ბოქსინგ ენტეპრაისში" კარბოს მოღვაწეობა ნათელი იქნება თუ გავიხსენებთ, რომ მან მოინახულა ამერიკის თითქმის ყველა ციხე, ხუთჯერ დაისაჯა მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, 17-ჯერ გაძარცვის, ქურდობისა და მოტყუებისათვის.

დოლარის ნაკადმა ნორისის ნაცვლად კარბოს ჯიბეში იწყო დინება.

ამერიკული კრივის ახალი უფროსი ულმობელი აღმოჩნდა „ურჩების" მიმართ, რომელთა შესამუსრავად მას შტატში ჰყავდა პროფესიონალი მკვლელები. ამიტომ იყო, რომ ჩემპიონები რინგზე კი არ ვლინდებოდნენ, არამედ ფ. კარბოს კანტორაში.

ფ. კარბოს თარეში შეუმჩნეველი იყო სანამ ამ რამდენიმე წლის წინათ არ ჩატარდა მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეების ჯ. სექსტონისა და კ. გევილენის ბრძოლა. შეხვედრა მიმდინარეობდა გევილენის აშკარა უპირატესობით, მისი უძლიერესი დარტყმები ხშირად აღწევდა მიზანს, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გევილენი იატაკზე გაიშხლართა. მსაჯმა მშვიდად დაითვალა ათამდე და სექსტონი მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს. კ. გევილენის ამ დამარცხებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ გევილენ-სექსტონის ბრძოლაში გაიმარჯვეს კარბომ და პალერმომ.

ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა უშიშარი ადამიანი ჯეკ ლეონარდი, რომელმაც პოლიციას გადასცა ფაქტიური მასალა განგსტერების მოღვაწეობის შესახებ — „კარბოს საქმე". მიუხედავად გაძლიერებული დაცვისა, თავგატეხილი ლეონარდი საავადმყოფოში მოათავსეს და იგი რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. აშშ-ს სენატში აღიძრა საკითხი გამოძიების შესახებ. იგი დაევალა სენატორ კეფოვერს. კარბო და მისი თანამოსაქმეები დაატუსაღეს, მაგრამ მეორე დღესვე გამოუშვეს თავდებით. მზის სინათლეზე გამოსულმა ბანდიტმა შეძლო კარგად „მომზადებულიყო" პროცესისათვის — გაენადგურებინა მამხილებელი დოკუმენტები, ევაჭრა მოწმეებთან. გამოძიებას ორი წელი დასჭირდა და ბოლოს, როგორც იყო, განგსტერები ციხეში ჩასვეს.

არ გეგონოთ, რომ სიმართლემ გაიმარჯვა და ამერიკის პროფესიონალური კრივი გაიწმინდა სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან. სრულიადაც არა! ფ. კარბომ დასტოვა თავისი „მემკვიდრეები" — კანი, უოლმენი, ველლა, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთ წინამორბედს.

სისხლიანი ბრძოლები ამერიკის პროფესიონალურ რინგზე გრძელდება. კრივის განგსტერები, ეძებენ ახალ მსხვერპლს...

— ვინ არის შემდეგი?

ვ. ხერხეულიძე

პრიზები მრავალგვარია

ძველ დროში სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს ამკობდნენ დაფნის გვირგვინით, შემდეგ შემოღებულ იქნა სხვადასხვა პრიზების გადაცემა. 1714 წელს ინგლისის დედოფალმა ანამ, მარულაში გამარჯვებულ მხედარს გადასცა თასი, რომელიც ითვლება პირველ სპორტულ ჯილდოდ ინგლისში.

თანამედროვე პრიზებს შორის, რომლებსაც გადასცემდნენ გამარჯვებულებს, გვხვდება გასაოცარი ჯილდოებიც. დევისის თასზე გამარჯვებულებს აჯილდოებენ ვერცხლის დიდი ჯამით, ყოველი ფეხბურთელის ოცნებაა მოიპოვოს ოქროს ქალღმერთის თასი.

არსებობს გიგანტი პრიზები. იტალიაში 2 წელიწადში ერთხელ ევროპის უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა გუნდები ერთმანეთს ეცილებიან **მაირანოს** თასს, რომელსაც ხშირად იმსახურებენ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები, მაგრამ გამარჯვებულებს გადასცემენ ამ ჯილდოს ასლს, რადგან თვით **მაირანოს** თასი 200 კილოგრამამდე იწონის.

მხოლოდ ხუთ წონაში

დამთავრდა თბილისის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალბედებს შორის. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ანალოგიურ პირველობაში 103 მოჭიდავე გამოდიოდა, მიმდინარე წელს კი პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა მხოლოდ... 29 მოჭიდავე. 10-10 მონაწილე წარმოადგინეს „შრ. რეზერვებმა" და „სპარტაკმა", 3—„განთიადმა" და 2-2—„ლოკომოტივმა", „კოლმეურნემ" და განათლების განყოფილებამ. შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს „დინამომ" და „ბურევესტნიკმა". ტურნირში არ იყვნენ წარმოდგენილი სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტები.

მონაწილეთა სიმცირის გამო პირველობა გათამაშდა მხოლოდ 5 წონით კატეგორიაში. ორდღიანი ბრძოლის შემდეგ ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს უმჩატეს წონაში — ა. ბასიაშვილმა („კოლმეურნე"), მჩატე წონაში — ქ. გამცემლიძემ („სპარტაკი"), ქვემსუბუქ წონაში—ს. ზამბახიძემ („სპარტაკი"), მსუბუქ წონაში — გ. გურამიშვილმა („განთიადი"), ქვესაშუალო წონაში — დ. საბულუამ („შრ. რეზერვები").

* * *

სურათზე: ქალაქის ჩემპიონი ახალბედებს შორის მჩატე წონაში ქ. გამცემლიძე (ზემოთ) ჭიდაობის დროს.

ფოტო და ტექსტი უ. მოსესოვისა.

რედაქციაში შემოვიდა თბილისის მცხოვრებ ნ. კვაჭაძის შეკითხვა, რომელსაც აინტერესებს, როგორ ზომავენ ტრამპლინიდან მხტომელის ნახტომის სიგრძეს, როგორია ქულობრივი შეფასება, რას უდრის უდიდესი ნახტომი და ვის ეკუთვნის იგი?

ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრების დაწყებამდე მსაჯთა კოლეგია წინასწარ ახდენს მიწაზე დაშვების არეს გაზომვას ასასხლეტი ბაქნიდან. ყოველი მეტრი მონიშნულია მანძილის აღმნიშვნელი ფარებით. შეჯიბრების პროცესში დაშვების ბაქანზე მეტრების აღმნიშვნელ ფარებთან დგანან მსაჯები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მხტომელის ფრენას და იქიდან, სადაც სპორტსმენის თხილამურები შეეხება მიწას, ითვლება მისი ნახტომის სიგრძეც. რაც შეეხება ქულებს, აქ მხედველობაში მიიღება მხტომელის ყველა მოძრაობა: სტარტიდან დაშვება, არეკნი, ფრენის სილამაზე და სიზუსტე, დაშვების სისწორე. უდიდესი ნახტომი, რომელიც ოფიციალურადაა აღრიცხული, უდრის 139 მეტრს. ეს შედეგი 1951 წელს აჩვენა ფინელმა ლუირომ.

* * *

„გთხოვთ შეგვატყობინოთ, თუ ვინ ითამაშებს საქართველოდან სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის ქუთაისის „ტორპედოს" ნაცვლად?", — გვეკითხება ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე დ. ბერიძე.

ქუთაისელთა ნაცვლად, რომლებიც „ა" კლასში გადავიდნენ, „ბ" კლასში საქართველოდან ითამაშებს ფოთის „კოლხიდა". ეს გუნდი გაძლიერებულია რესპუბლიკის პირველობაში მონაწილე სხვა კოლექტივების მოთამაშეებით, გამოცდილი მწვრთნელებით.

•

გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კოლმეურნეები, ფეხბურთის მოყვარულნი გ. ჯანჯიბუხაშვილი, ჭ. მესხი, ვ. მესხი, გ. გარსევანიშვილი, ფ. რევაზიშვილი გვეკითხებიან: „ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალურ ჯგუფში თამაშების დამთავრების შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ გუნდებს შემდგომში გაჰყვებათ თუ არა ის ქულები, რომლებიც მათ ჯგუფებში მოიპოვეს?"

რა თქმა უნდა, არა. ჯგუფებში მატჩების დამთავრების შემდეგ გათამაშება გრძელდება გამოთიშვითი სისტემით, ე. ი. დამარცხებული გუნდი კარგავს შემდგომ თამაშებში მონაწილეობის უფლებას, ამიტომ ქულობრივი ჩათვლა აქ საჭირო აღარაა.

ყოველი მხრიდან

ნიუ-იორკი. ოლიმპიურ ჩემპიონს ვილმა რუდოლფს გადაეცა მძლეოსანთა უმაღლესი ჯილდო „სელივანის თასი". ამერიკული სპორტის ისტორიაში ეს მესამე შემთხვევაა, როდესაც უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს ქალი.

ბოსტონი. შესანიშნავ შედეგს მიაღწია ახლახან გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ამერიკელმა ჰაროლდ კონოლიმ. მან ურო ტყორცნა 68 მ 79 სმ.

ციურიხი. შვეიცარელმა ველოსიპედისტმა ალფრედ რიუეგმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ერთსაათიან რბოლაში — 76 კმ 819 მ. ხიუეგმა ამავე დროს გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 20 კმ რბოლაში — 25:24,5.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05650